პარასკევი, 4 ივნისი, 1904 წ. 1877 წლიწადი ოც-და-მერვე 1904 პარასკევი, 4 ივნისი, 1904 წ.

# ივერია

№ 129 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 129

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | „ . . | 9 „ 50 „ |
| 10 | „ . . | 8 „ 75 „ |
| 9 | „ . . | 8 „ — „ |
| 8 | „ . . | 7 „ 25 „ |
| 7 | „ . . | 6 „ 50 „ |
| 6 | „ . . | 6 „ — „ |
| 5 | „ . . | 5 „ 50 „ |
| 4 | „ . . | 4 „ 75 „ |
| 3 | „ . . | 3 „ 50 „ |
| 2 | „ . . | 2 „ 75 „ |
| 1 | „ . . | 1 „ 50 „ |

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

## რედაქციისაგან

**პირველ თიბათვიდგან წლის დამლევადე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან. 50 კაპ.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. და ქალაქ გარეთ 4 მან.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვთ შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენიც რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოს.

საუკეთესო სააგარაკო ადგილები

**ზედ სურამის მახლობლად**

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,

**ისყიდება**

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—2)

გამოვიდა და ისყიდება დიდი სურათი

**ჯგუფი ქართველთ მწერლებისა**

(მესამე გამოცემა).

ტარ. მომცემლიძისა.

ფასი თითო სურათისა 75 კაპ. ქალაქ გარეთ გაგზავნას ფას დადებითაც ვკისრულობთ, მხოლოდ არა ნაკლებ ხუთის ცალისას.

ადრესი: въ Тифлисъ, Эриванск. пл., д. Харазовой, Тарасію Момцеидзе. (წლ.).

გამოვიდა ❦ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

**ლალაჰი**

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**

**ახალი წიგნი**

ს. ს. მელიქ-ადამოვი

ნაფიცი ვექილი

**პრაქტიკული სახელმძღვანელო**

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.

ფასი 1 მან.

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

ვიღებ საეკლესიო **პანკენელის სამხატვრო საქმეებს.** მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი პრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ ჟანჩაველს. (7—5)

**ისყიდება**

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლკარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **გრიგოლ კორინთელთან.** (5—4).

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი** სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ

საგანგებო საგუბერნიო კრებაზედ,

რომელიც დანიშნულია 12 ივნისისათვის 1904 წლ. დღისით 1 საათზედ თ-დ კობულოვის სახლებში (არშაკუნიანისეული, გრიბოედოვის ქუჩაზედ) ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მოგების განაწილებლად შედგენილ პროექტის განსახილველად და დასამტკიცებლად. (3—6—3).

ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების

**გამგე კომიტეტი**

აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ **კვირას, ივნისის ექვსსა,** ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, **საღამოს რვა საათზედ,** დანიშნულია **განგრძობა** მაისის 20 დღის საზოგადო კრებისა. (2—6—2).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

**ქაჯანა**

2.

**ალი**

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ტვასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распрстр. грамотноcти.

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 165 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

**ქართული რუკა**

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამ შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ფაღაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**მ. ს.ე ლმი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

**კერძო სამკურნალო**

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კაკვირ 34.

**ტელეფონი** არ 4.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ბრ. მ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

პორტ-არტურის მცველთა მდგომარეობა.—რა იხსნის პორტ-არტურს?—გენერალ კუროპატკინის მოქმედება.—წვრილი ცნობები.

«სტანდარდის» კორესპონდენტი ძალიან აქებს იაპონელთა არტილერიას, რომელიც პორტ-არტურთან არის. ეს არტილერია, ფლოტის დახმარებით, იაპონელებს სამს კვირაზედ აალებინებს პორტ-არტურს, თუ რომ 3—5 ათასი კაცი გაიმეტეს, და ერთს კვირაზედ, თუ რომ 10,000 გასწირეს. რუსებისათვის უმჯობესი იქმნებოდა, რომ ციხიდგან გამოსულიყვნენ და ვაკეზედ შებრძოლოდნენ მტერს. გენერალ მიკელმა გვაჩვენა, როგორ შეიძლება მთა-გორაკები გამოიყენოს ჯარის დასამალავად და ზარბაზნების გასანაწილებლად, ხოლო არც მიკელს და არა სხვა ვისმეს ჯერ არ უჩვენებია, როგორ შეიძლება იერიშის მიტანა ვაკე მინდორზე. ძალიან საინტერესოა და ვნახოთ, როგორ გადასწყვეტენ ამ საკითხს იაპონელებიო. («პ. ვ.»).

«ნ. ფრ. პრესე» ამბობს: რუსეთის ჯარის მდგომარეობა მანჯურიასა და ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზედ სწორედ ისეთია, როგორც საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს, 1870 წელს, მეომართა ჯარების მდგომარეობა იყო შალინსა და სედანს შუა. სედანსაც ისეთივე დღე ადგა, როგორც ეხლა პორტ-არტურს.

მხოლოდ გენერალ კუროკის ლაშქრის დამარცხება იხსნის რუსეთის ჯარსა და პორტ-არტურს. თუ გენერალ კუროკის ლაშქარი დამარცხდა, რომელსაც დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი უჭირავს, მაშინ ამ დამარცხებას უფრო საგრძნობელი შედეგი ექმნება, ვიდრე შტაკელბერგის გამარჯვებას მცირე რაზმებზე, და იაპონელების გაძევებას ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულიდგან. ამისთანა გამარჯვებით ომი არც დასრულდება და არც თუ უპირატესობა მიეცემა რომელსამე მხარეს. ამისათვის მთელი ყურადღება გენერალ კუროკის ლაშქარს უნდა მიეპყრას. პორტ-არტური თავისთავად განთავისუფლდებოდა, სწორედ ისე, როგორც ბაზენის ჯარი, თუ რომ მაკ-მაგონს გერმანელთა ლაშქარი დაემარცხებინა პარიჟსა და შალონს შორის. იაპონელებმა უკვე მიუახლოვა პორტ-არტურს ციხის სანგრევი ზარბაზნები და რამდენისამე დღის შემდეგ პორტ-არტურის ჯარი ჩაიკეტება ციხის გალავანში. ამ გარემოებით უნდა ისარგებლოს გენერალ შტაკელბერგმა და სწორედ ეხლა უნდა გამოჩნდეს მისი განზრახულება. იაპონელებს ორს მხარეს მოუხდებათ ბრძოლა: სამხრეთად თვით მიდიან მოპირდაპირეზე, ჩრდილოეთად-კი იმაზე მოდიან და თავისი ჯარი და ბანაკი უნდა დაიცვას. სამხედრო ბედი მუდამ ერთს არა სწყალობს, შესაძლოა გადატრიალდეს და რაც რამ აქამომდე მომხდარა, სულ გააქარწყლოს. ომში ბევრი რამ შეუძლიან ერთს მოხერხებულ ნაბიჯსა და ერთს მოსაზრებულ ბრძოლას. (პ. ვ.).

უცხოელთა მწერლობა ბეჯითად შესდგომია გამოკვლევას და გამოცნობას, გაილაშქრებს გენერალი კუროპატკინი პორტ-არტურის დასახსნელად, თუ არა? მცირე ფაქტებიც-კი, მართალი თუ საეჭვო, სალაპარაკოდ გამხდარა და საბუთით მოჰყავთ გენერალ კუროპატკინის გალაშქრების მომხრეთაცა და მოწინაალმდეგეთაც. ყოველი სამხედრო მიმომხილველი თითქო თვით აღჭურვილა იარაღით და თავისი თავი ომის ველზე ჰგონია. პორტ-არტურის მდგომარეობა საგაასოდ გახდომია მთელს ევროპას და სპეციალისტების აზრი მართლა რომ საინტერესოა.

გენერალ კუროპატკინის გალაშქრების მომხრეთა აზრი გაზეთ «ტემპს» მოუქუჩებია და ამბობს: იაპონელების ჯარი გაფანტულა, გენერალ კუროკისა და გენერალ ოქუს ლაშქრები ერთმანერთზე ძალიან დაშორებულა და ერთი თუ ორი დივიზია მათ შორის საიმედო კავშირს არ შეადგენს. ეს გარემოება ხელს უწყობს გენერალ კუროპატკინს, რომელიც იაპონელთა ლაშქრების შუა სდგას თავმოყრილ ლაშქრით. იმას შეუძლიან ნაპოლეონ I-ის მაგალითით იხელმძღვანელოს და ისე იმოქმედოს, რომ თავისი ლაშქარი ძალიან არ დაანაწილოს და არ გაჰფანტოს. 40,000 კაცი რომ პორტ-არტურისკენ გაგზავნოს და იაპონიის მეორე ლაშქარს უკანიდგან დაეცეს, გენერალი სტესსელიც წინ დაუხვდება და იაპონელებს მოიმწყვდევენ, რომლებიც პორტ-არტურს ალყას ვეღარ შემოარტყამენ. ვიდრე ამ ჯარს ბრძოლა ექმნება, გენერალ კუროპატკინის ლაშქარიც მიეშველება. ამის წინააღმდეგ ამბობენ, რომ გენერალ კუროპატკინის ლაშქრის შესუსტება შეუძლებელია, რადგან გენერალი კუროკი ექვსის დივიზიით თავს დაატყდებაო. ხოლო ეს აზრი მართალი არ უნდა იყოს. გენერალ კოროპატკინმა 40,000 მეომარი რომ გაგზავნოს, 100,000 კიდევ დარჩება და თუ კარგ ადგილს არის დაბანაკებული და გამაგრებული, მტერი ვერც მიუახლოვდება და ვერც არას დააკლებს.

ამის მოწინააღმდეგენი ამბობენ: რუსეთის ლაშქარს, მართალია, კარგი ადგილი უჭირავს და თავისუფლად შეუძლიან ფრთები გაშალოს. ხოლო მოქმედება სხვა და სხვა გვარია. დააცადეთ თვით გენერალ კუროპატკინს, ისე იმოქმედოს, როგორც თავისი ჭკუა-გონება უკარნახებს. იმას თავისი აზრი და გეგმა აქვს. თავის აზრს ის არავის უზიარებს, რადგან სწორედ ისე ჰფიქრობს, როგორც ვილლარი, რომელმაც სთქვა: «ჩემმა პერანგმა ჩემი აზრი რომ გაიგოს, მაშინვე დავწვავდიო». თქვენ გინდათ, სარდალმა ხელი გაანძრიოს, მაგრამ ძალად ნუ გადასჩეხავთ პორტ-არტურისკენ. თქვენ გგონიათ, მეორე ლაშქარს უკანიდგან დაეცეთ, ხოლო ეს მოუხერხებელია. ამ ლაშქარს ბევრი სამალავები და მცველები ჰყავს უკანიდგანაც, ვაფანგოუსთან, პორტ-ადამსთან, ბიძივოს, ჩენგტანძესა და დაგუშანში. რამდენსაც წინ წავა რუსის ჯარი და ლიაოდუნის ვიწრო ადგილს მიუახლოვდება, უფრო და უფრო ფრთები უნდა შეიკეცოს და ამ დროს მოწინავე რაზმებს მტერი დიდად აზიანებს. ძინ-ჯოუ ხომ ბუნებრივი სიმაგრეა, რომელსაც რუსის ჯარი ვერ გადალახს, რადგან ორთავ მხარეს იაპონელების გემებიც უდარაჯებენ. ძინ-ჯოუ ისეთი ალაყაფია, რომელიც ადვილად ჩაიკეტება და რუსებს არ შეუშვებს. ამ რიგად რუსების მეცადინეობა ამაოდ ჩაივლის და იაპონელებსაც სწორედ ეს უნდათ, რომ მტერი მოჰქანცონ და შეასუსტონ. მაშინ რუსები ხელ ახლა უნდა ლოდინში იყვნენ, რომ რუსეთიდგან ჯარი მიაშველონ და თავისი გეგმა შესცვალონ, რომელსაც აქამომდე ადგნენ. რუსის ჯარი ეს არის ეხლა შეგროვდა. ჯარის კაცები თავის უფროსებს არ იცნობენ, აფიცრებმა ხომ თავის სალდათებისა სრულიად არა იციან-რა. ამ დროს გეგმის შეცვლა, რაზმების ხელ-ახლა დაწყობა და ჯარის გადანაცვლება ძნელი მ სახერხებელია, — ამას თვლები მოუნდება. და რისთვის უნდა მოხდეს არევ-დარევა, რითი ამტკიცებთ და ვინ არის თავმდები, რომ ასეთი გეგმა საუკეთესო იქნება?

თვით გაზეთ «ტემპსის» სამხედრო მიმომხილველი, როგორც საერთოდ საფრანგეთის აფიცრები, რუსეთის მომხრეა, რუსეთის მახვილის გამარჯვების მსურველი, და თავის მხრივ შემდეგს ურჩევს:

«მთავარ-სარდლის უფლების შეზღუდვა და ისეთ მოქმედების დავალება, რომელიც თვით იმას საეჭვოდ მიაჩნია,— უზომო უგუნურებაა. ბონაპარტე სრულიად ყურადღებას არ აპყრობდა იმ გეგმებს, რომლებსაც დირექტორია უგზავნიდა. ბონაპარტე-კონსულიც იმავ გენერალ ბონაპარტედ დარჩა. 1800 წელს მორგო რეინისკენ მიდიოდა თავის ჯარით, დიდის ხნის გამოცდილებაზე დამყარებულ მეთოდით, შორეულის, ხოლო საიმედო გზებით, სადაც კარგი ხიდებიც იყო გადებული. ბონაპარტემ ურჩია, პირდაპირ გადაეკრა და კონსტანცთან სწრაფად და მოულოდნელად გაჩენილიყო. ეს მართლა გაბედული და გამოსადეგი ნაბიჯი იქნებოდა, მაგრამ გადამდგმელიც ბონაპარტესთანა სარდალი უნდა ყოფილიყო. ეს თვით ბონაპარტემაც მალე შეიგნო და მორგოს შეუთვალა, ისე მოიქეცი, როგორც შენი ჭკუა გიჭრისო, თითონ კი დაჰკრა ფეხი და მარენგოს გადაფრინდა».

უნდა აღვნიშნოთ, რომ უცხოელ მწერლობის სამხედრო მიმომხილველთა მომეტებულს ნაწილს შესაძლოდ არ მიაჩნიათ რუსის ჯარის გალაშქრება სამხრეთისკენ, რადგან ვერას გახდება და პირიქით საშიშ მდგომარეობაში ჩავარდებაო (ნოვ. ვრ.).

—

ბერლინის გაზეთებს ატყობინებენ, გენერალ კუროკის ლაშქარმა სიმანგი დაიჭირაო, რომელიც რუკებზე არ არის ნაჩვენებიო. ეს ადგილი საიმძსა და თძენჩაუს მხარეს უნდა იყოს, ფინ-ხუან-ჩენის ჩრდილო აღმოსავლეთად. იაპონელები ამ გზას იმისთვის თუ დასდგომიან, რომ მუკდენზე უნდათ მისვლა და არა ლიაოიანზეო. (რ. ვ.).

—

ტოკიოდგან «დეილი ქრონ.»-სა სწერენ: იაპონელთა პირველი და მეორე ლაშქრები შეერთებულის ძალით რუსის ჯარს თანდათან აწვებიან ლიაოიანსა და მუკდენისაკენო. გენერალ კუროპატკინის გამოლაშქრება პორტ-არტურის დასახსნელად აქ არა სჯერათო. ბალტიის ფლოტის მოსვლა შორეულ აღმოსავლეთში შესაძლოდ არ მიაჩნიათო. (რ. ვ.).

ერთი რუსის აფიცერი, რომელიც 16 და 17 მაისს ბრძოლაში ყოფილა, ამბობს: იაპონელები მეტად გაბედულად მოქმედობდნენო. ერთმა რაზმმა უკან მოგვიარა და ვანძიალინთან რკინის გზის ლიანდაგის აფეთქებასა სცდილობდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო, თუმცა მცირედ კი გააფუჭა. 21 მაისს იაპონელებმა ნაღმი შესდეს რელსებს ქვეშ ვაფანგოუსთან; 23 მაისს საპიორებმა ეჟვი აიღეს და საბარგო ვაგონი გაიმძღვარეს, მიწით დატვირთული. ნაღმმა იფეთქა, ვაგონი მაღლა აისროლა და ლიანდაგიც გააფუჭა. იაპონელები მეტად გაბრაზებული არიან და, 21 მაისს უკან-უკან რომ იწევდნენ, შორიდგან მუშტით გვემუქრებოდნენ და წყევლა-კრულვას გვიგზავნიდნენო. („რუს.“).

—

საყურადღებოა, რომ აქამდე ბრძოლის ველზე მოკლულ და დაჭრილ რუსის ჯარის კაცთა შორის აფიცერთა რიცხვი, შედარებით, მეტად დიდია. როგორც ამას წინადაც ვსწერდით, იაპონელები უმთავრესად აფიცრებს უმიზნებენ თოფს. იალუს ბრძოლაში ზოგს აფიცრებს რამდენიმე ტყვია მოჰხვედრია. მე-12 პოლკის პორუჩიკი გროდზინსკი სულ ცხრილსავით იყო თურმე დახვრეტილი; აფიცერ ანტროპოვს 8 ტყვია მოხვედრია, ზმეიცინს 4 და სხვ. ეს შემთხვევით არ აიხსნება. იაპონელებს, ეტყობა, არჩეული ჰყავთ მსროლელები, რომლებმაც აფიცრებს უნდა უმიზნონ თოფი. ამისთანა უბედურების ასაცილებლად,—ამბობს «ნოვ. ვრ.»,—კარგი იქნებოდა ბჭყვრიალა პაგონები და საყელო ჩამოიხსნან აფიცრებმა და დაბალ ჯარის კაცებსავით შემოსონ. კიდევ კარგი, რომ თეთრი ქუდები და ტანსაცმელი გადააგდეს და ნაცრის ფერი შემოიღეს.

—

ბალტიის ფლოტისა და პორტების უფროსს, როგორც კრონშტადტის გაზეთები იუწყებიან, შემდეგი ბრძანება გაუცია: კრონშტადტის პორტის სამხედრო გემების შესასწორებლად და მეტადრე იმ გემების შესამზადებლად, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთისკენ უნდა გაგზავნონ, პორტის კაპიტანი ყოველ დღე ათვალიერებს ნავთსადგურს, გემების ასაგებ დოკებსა და ადმირალტეისტვოს, რომ გაიგოს ყოველივე, რაც საჭირო საქმის ასაჩქარებლად და საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სამწუხაროდ, მის მეცადინეობას ვერა გაუწყვია-რა, რადგანაც უფროსები, ინჟენერები, ოსტატები და მეთვალყურენი თავთავის ადგილს არ უხვდებიან. კაპიტანს კი იმდენი მოცლა არა აქვს, რომ იმათ უცადოს. ამისათვის უფროსი ავალებს თავის ხელ ქვეითებს, გულმოდგინედ ასრულონ თავისი მოვალეობა და მუშაობა არ შეაფერხონ.

—

ვლადივოსტოკიდგან იწერებიან, ავდრიანი ამინდი დაიჭირა და ბურუსით არის მოცული არე-მარე. ასეთი დარი ავგისტოს ნახევრამდე იცისო. ყოველ დღე ნიაღვარია, ყველგან წვიმებია. ციხის უფროსმა ბრძანება გასცა, რომ დაბალ ჯარის კაცებს მაგარი სასმელი არ მიჰყიდონო. (რ. ვ.).

—

კიევის საოლქოში 4,000 დატყვევებული აპონელი უნდა დააბინავონ. ხარკოვში ბძანება მისულა, ტყვეებისთვის სადგომები დაამზადეთო. (ნ. ვ.).

## ტფილისი

—

*** ამ თვის შუა რიცხვებში ტფილისში იქნება კრება ამიერ-კავკასიის სახალხო სკოლათა დირექტორებისა და მასწავლებლებისა სახალხო სკოლათა მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზედ მოსალაპარაკებლად. კრების თავმჯდომარედ იქნება ტფილისის სასტატო ინსტიტუტის დირექტორი ს. ი. სტრელეცკი. ზოგიერთნი მასწავლებელნი და დირექტორები ტფილისში უკვე ჩამოვიდნენ.

*** კახეთში, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, სამი თვე წვიმა არ შეწყვეტილა. ბოლო ხანს ყოფილა სიცივეები, რომელსაც ხეხილებისათვის ყვავილი გაუცვენია. ვენახები არ არის თურმე გაფუჭებული, მაგრამ მემამულენი ზარალობენ იმის გამო, რომ წამლის ვაზს წვიმა ხშირად ჰრეცხავს და მემამულეს ხელმეორედ უნდება ვაზის წამლობა. ღვინის ფასი ამ ჟამად ერთობ მცირეა.

*** ტფილისის საზებო(?) ინსტიტუტში წელს სწავლა ცხრა ქართველმა ქალმა დაასრულა. აი მათი გვარები: ანნა მაღალაშვილი, მარიამ ერისთავი, ანასტასია მუხაძე, მატრონა სურგულაძე, ეკატერინე თოხაძე, სოფიო ხირსელი, მარიამ ხიტრია ოლიმპა დუნდუა და პელაგია შარაშენიძე.

*** ის 17,300 მანეთი, რომელიც წელს საერობო თანხიდგან იქმნა გადადებული ამიერ-კავკასიის სამრევლო სკოლების შესანახად, სკოლათა საეპარქიო საბჭომ უკვე გაანაწილა სკოლებზე. თითო სკოლის შესანახად გადადებულ იქმნება 1,500—300 მანეთამდე.

*** ტფილისის სამუსიკო სასწავლებელში წელს 12 ქართველმა გაათავა კურსი. მათ შორის ოთხი ქართველია: სკრიპკაზედ დამკვრელი კნ. ანასტასია ორბელიანისა, ვიოლონჩელზე— ბ-ნი ი. აბაშიძე, ფორტეპიანოზე – ნინო ლვინიაშვილისა და სიმღერის შემსწავლელი ოლ. თუმანიშვილისა. სასწავლებელში ყოფილა სულ 441 კაცი და ქალი. მათ შორის 137 რუსი, 141 სომეხი, 41 ქართველი და დანარჩენი—სხვა და-სხვა ეროვნებისა.

*** კნ. ნინო ორბელიანს შეუწირავს ყველა თავისი ნაწერები წერა-კითხვის საზოგადოებისათვის იმ პირობით, რომ შემოსავალიდან 50 მან. გარდაეცეს სათავადაზნაურო სკოლას, 50 მან.—ყაზბეგის ქალთა სკოლას, 25 მან. ქართველ ქალთა სამკერვალოს ამხანაგობას და 25 მან. ქართველთა განზრახულ ქალთა სკოლას.

*** ტფილისის ვაკეთა პირველ საკვირაო სკოლის გამგემ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, სკოლას შემწეობა დაუნიშნე წელიწადში 400 მანეთიო.

*** პირველსა და მეორე საპოლიციო უბანში, როგორც ახლა აღმოჩნდა, 27 კაცს ჰქონია სავაჭრო დაწესებულებანი და ვაჭრობის მოწმობა კი არა ჰქონიათ აღებული.

*** 15 ივნისს, საღამოს 9 საათზე, დანიშნულია ტფილისის საარტისტო საზოგადოების წევრთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს ერთი ინციდენტი, რომელიც ამას წინად მოჰხდა საზოგადოების სადგომში.

*** მკითხველთ ვაუწყეთ, რომ საქართველოს საექსარხოსოს სკოლების საეპარქიო საბჭომ ხელმეორედ აღძრა შუამდგო-

## ფელეტონი

—

### ქართველთა მოძულენი *).

გუშინდელი ზღაპარი ნამდვილი სარკეა ჩვენი და სამხრეთელ მეზობლების ერთმანეთთან განწყობილებისა იმ თავიდან ამ ბოლომდე. დღემდე ისინიც ღვთისიაშვილობდნენ საქართველოში და დღეს კი აშკარად გამოდიან სისხვისშვილოზე. აქვსთ მერე სიმართლე? დღევანდელ საზოგადო შეხედულობითა და დარვინის თეორიით, რასაკვირველია, აქვსთ. არსებობისათვის ვინ არ იბრძვის? არ იბრძვის მხოლოდ მომაკვდავი და ვაი მისი ბრალიცა!.. ამასვე ვიტყოდით დღევანდელ ქართველების შესახებაც, რომ მართლა მომაკვდავი იყოს და ბრძოლა არსებობისათვის არ შეეძლოს, მაგრამ, ჰოი საკვირველებავ! იბრძვის თავისთვის საუკუღმართოდ და მტრების სახმარებლად! მე ამას ვამბობ ჩვენს მეთაურ ინტელიგენციაზედ, რომელსაც სადღეისო ცხოვრების სადავე ხელში აქვს ჩაგდებული, და არა ხალხზე!.. მაგრამ ხალხს გულის მეტი აღარა დარჩენია-რა და უნდა ძალა-უნებურად მიჰყვეს მეთაურების გზა და კვალს და ან გაკმიდოს სული.

დიაღ, ჩვენი დღევანდელი ინტელიგენცია ვერ იქცევა, რომ უნდა ისე... გაუდგა თავისას, ძალზე გაჭირვებულ ყოფაში ჩავარდნილს და საპირადო ანგარიშით ეკიდლება სხვებს, რომ სანუკვარს მაინც ჩამორჩეს! და ვაი სირცხვილო!! მარტო კუდაბზიკა ინტელიგენტები და უბრალო მჩხაბნელები რომ სჩადიოდნენ ამ საქმეს, არას ვიტყოდი, რადგანაც იმათ ერთმანეთზე თუ აქვსთ გავლენა, თვარა ხალხი მაინცა-და-მაინც არას უჯერის; მაგრამ სათქმელი ის არის, რომ ჩვენი მოწონებული და ტალმა-წამოსხმულებიც კი ჩვენ მოგვდგნენ. აღარ შეჰხედეს თავისს ღმერთს და მტრობა-ცილისწამებაში სხვებს კიდეც გადააჭარბეს. ეს დაგვიმტკიცა პროფესორმა მარრმა, რომელსაც ეტყობა, რომ სკოლა შეუქმნია «ქართველთა მოძულეთა».

ჩემის კრებულის მე-5 №-ში 1898 წ. დაიბეჭდა ერთი ისტორიული გამოკვლევა: «ისტორიული განხილვა სახელწოდების: არმენის, ჰაისტანისა და სომხეთისა». ამ საგულისხმო სტატიას მე წარვუმძღვარე საწინასწრო წერილები. არც მე და არც, დარწმუნებული ვარ, იმ სტატიის ავტორს, არც ერთს არა გვდომებია ვისიმე შეურაცხყოფა და წყენინება. მხოლოდ გვინდოდა, შეძლებისადაგვარად, ჭეშმარიტება გამოგვეკვლია და ის შემცდარი აზრი, რომელსაც ჩვენის ქვეყნის მტრები და ავის მსურველნი ავრცელებენ ქართველებზე, გაგვეფანტა.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი: «მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო». ჩვენმა გულწრფელობამ გააგულისა, რაღა თქმა უნდა, ჩვენი მტრები და მათიქები ჯით, როგორც ვექილმა, გამოილაშქრით, ენზედ მეცნიერად დასახულმა პროფესორმა მარრმა. გაგვიკვირდა! მით უფრო, რომ იმას შეეძლო პასუხი გაეცა ჩვენთვის ქართულადვე, რადგანაც ქართველებისათვის დაიწერა ის ჩვენი სტატია, და იმან კი უცხო ენაზე, სხვა გაზეთში, დასტამბა მისი სასარჩლო წერილები, თითქოს იმ მოსაზრებით, რომ ჩვენის მტრების გული მოეგო და ეთქმევინებინა მათთვის: აი რა კაცია!.. თვითონაც ქართველია, მაგრამ იძულებულია სიმართლეს არ გადაუდგეს და, თანახმად ჩვენდა, ჩვენთან ერთად აღიაროს ქართველების საყოველთაო არარაობაო. ეს მოსაზრება კიდევაც გაუმართლდა, მაგრამ, სამაგიეროდ, სიმართლის ძაფი ხომ განზრახ გასწყვიტა, წაიფორხილა და იქ ამოჰყო თავი, სადაც არ შეჰფეროდა. მეცნიერმა ვექილ-მოსარჩლემ ის ჩაიდინა, რასაც ჩაიდენენ ხოლმე სამსჯავროებში უბრალო საყველ-პურო ვექილები, მრავალ, მაგრამ ფუჭ-მეტყუელების დროს უაზრო სოფიზმებს რომ წაეპოტინებიან ხოლმე.

სიტყვამ მოიტანა, თვარა ამას, რასაკვირველია, ჩვენ არ შევჰკადრებდით ბ ნ პროფესორს, თუმცა იმას კი პირადად ჩვენ არ დავუზოგავართ!

დიაღ, არ დავუზოგავართ, მაგრამ ასჯერ მეტიც რომ ეთქვა ჩვენს შესახებ პირადად, სამაგიეროს არ გადავუხდიდით!.. მაგრამ ჩვენს გამოისობით ქვეყანას მოსდგა და მთელი ქართველობა დედამიწასთან უნდოდა გაესწორებინა; ეს-კი ვეღარც ჩვენ დავუთმეთ, მის აზრების დასამტკიცებელი საბუთები მოვსთხოვეთ.

ამან გამოიწვია ჩვენ შორის პოლემიკა, რომელმაც ნათლად დაგვანახვა, რომ ჩვენს მოკამათეს ან სრულიად არა სცოდნია-რა ჩვენის ქვეყნის შესახებ, და ან განზრახ ამახინჯებს ფაქტებს. აი ამისი ნიმუშებიც: 1) სომხებს მისდღეში სამტრო მიზეზი არა მიუციათ-რა ქართველებისათვის!—ახლაც და ძველადაც ღმობიერებით იხსენიებდნენ ქართველებს, კეთილად ეპყრობოდნენ, ძმობა-ერთობის მსურველნი იყვნენ და აქედან კი მაინც ცილსა სწამებთო და სხვანი,—ბრძანა მარრმა.

მაშინ ჩვენც იძულებულნი გავხდით გვეპასუხნა:

აბა, რას ბრძანებთ? მართალია, დღეს, როცა ისინი ჩვენ ცილსა გვწამებენ და არარობას გვიკიჟინებენ, მაშინ თუ გამოვიღებთ ხოლმე ხმას, რომ თავი გავიმართლოთ, თორემ, აბა, ერთი გვიჩვენეთ მაგალითად, სად, როდის, ვინ იხსენიებს ჩვენთაგანი მტრობით? და ისინი კი იმ თავითვე, ძველ დროიდანაც გვავლებდნენ ხელსა თქო, და მიუთითეთ დვინის კრების განჩინებაზე 596 წ., რომლითაც სომხებს ეკრძალებოდა ყოველგვარი დამოკიდებულება ქართველებთან, გარდა მტრობისა და რომელიც თან ურჩევდა, ისე მოჰპყრობოდნენ ქართველებს სომხები, როგორც ურიებს. აი თვით ის ტექსტიც, სომხის ისტორიკოსის ვაღან კატვაპცის ისტორიაში მოხსენებული მეცხრე საუკუნის გასულს: «ქართველებზე ჩვენ ვბრძანებთ—ამბობს სომხის ქათალიკოსი აბრაამი—რომ სომხებმა ამას შემდეგ არ იქონიონ იმათთან არავითარი კავშირი არც ლოცვაში, არც სმაჭამაში, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში; არ გაბედონ მგზავრობა სალოცავად, როგორც სახელ-განთქმული მცხეთის ჯვარისა, აგრეთვე მანგლისის ჯვარისა; არ მისცენ მათ ნება სიარულისა ჩვენ ეკლესიებში; ერიდონ იმათთან დამოკიდებულებას ცოლ-ქმრობისას, ნება ეძლევათ მხოლოდ აღებ-მიცემობისა მათთან, როგორც ურიებთან. ვინც ამ ბრძანებას ურს ჰყოფს, წყეულიმც არს იგი სულით და ხორცით და უკვდავ(?) ცხოვრებისაგან». ამაზე მეტი სიძულვილისა და წყევა-კრულვის გამოთქმა, მგონი რომ აღარ მოხერხდეს! და ამის გადაფუჩეჩება უნდოდა ბ-ნ პროფესორს. ალბად ჰფიქრობდა, რომ ეს ამბავი ჩემს მეტს არავის ეცოდინება ჩვენშიო! მაგრამ როდესაც ეს საოცარი საბუთი წინ დაუდევით, კდემა-შენანების ნაცვლად, კიდევ მაინც გააბა ჰიანური: ეგ მართალიაო, მეც ვიცოდიო, მაგრამ მაგგვარი რამ ქართველებმაც ჩაიდინეს სომხების სამტროდაო. მაგალითად: მეთორმეტე საუკუნეში სომხისა და ქართველის მღვდლებს ლაპარკი მოუხდათ: ვისი რჯული უკეთესია—ჩვენი თუ თქვენიო? და სამართალი ძაღლს გადააწყვეტიეს: მოიტანეს ორი სებისკვერი—ერთი სომხების და ერთი ქართველების და ძაღლმა სომხის სებისკვერს დაავლო პირიო. ეს რაღაც ზღაპარი, ვიღაც უმეცარისაგან მატიანეში მოჩმახული, რომელიც ხალხს არც კი გაუგონია და მხოლოდ ერთ-ორს მტვერი-ყლაპია სიძველეთა მკვლევარს თუ ამოუკითხავს, რა შესადარებელია იმ ჩვენგან დასახელებულ საბუთთან?! იმ საბუთთან, რომელიც სომხების პატრიარქის ხელით დაწერილია და მერე მთელის კრების დადგენილი და ბეჭედ დაკრული სახელმძღვანელოდ? ვსთქვათ, რომ ეს საოხუნჯო ზღაპარი მართლა და უდრის იმ «ღვთის კრების განაჩენს!» მერე რაო? მიზეზი სიძულვილისა ხომ მაინც სომხებს მიუციათ თავდა პირველად, რვა საუკუნით წინეთ? სად მეოთხე საუკუნე და სად მეთორმეტე? და მაშ რა სიმართლე ეჭირა ხელში სომხების ვექილს, რომ ამტკიცებდა: სომხებს არასოდეს ქართველები მტრობით არ მოუხსენებიათო?

2) დასამტკიცებლად მისა, რომ სომხის ინტელიგენცია და მათი პუბლიცისტები, ისტორიკოსები, არხეოლოგები, პოეტები მეჟურნალ-გაზეთეები და სხვანი მტრობით გვიხსენიებენ მათ ნაწერებში, ჩვენ მივუთითეთ ბ-ნ მარრს პატკანიანცებზე და სხვებზე... და ვსთხოვეთ, რომ იმასაც ამგვარი რამ გამოეჩინა ქართველების მხრითაც სომხების შესახებ. მაგრამ მან პასუხად ის იკმარა, მართალია ეგ ყოველიო, მაგრამ ჩვენ მთელ ხალხზე გვაქვს საუბარი და ეს მწერლები ხომ ხალხს არ შეადგენენო? ხალხზედაც რომ მივუთითეთ, მაშინ მოაბრუნა კეხი და მაინც კიდევ სთქვა: მაგას ხომ ინტელიგენცია არ ამბობსო? ხალხი ბრბოა და ბრბოს რა

*) იხ. «ივერია» № 128.

მდობა ქალაქის თვით-მმართველობის წინაშე, შემწეობა აღმოგვიჩინეთ ფულითაო. ამ შუამდგომლობას ქალაქის საბჭო მომავალს კრებაზედ განიხილავს.

*** ქალაქის გამგეობამ ხელმეორედ დაიწყო მოლაპარაკება ბელგიის უსახელო საზოგადოებასთან ტფილისში საჰიდრავლიკო სადგურის აგების თაობაზედ. საზოგადოება გამგეობას წარუდგენს მოკლე ხანში თავისს პირობებს, რომელსაც ჯერ ქალაქის გამგეობა განიხილავს და შემდეგ კი საბჭოს ხმოსანთა საზოგადო კრება.

*** მკითხველთ უწყიან, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობამ პრემია დანიშნა, პრემია მიეცემა იმას, ვინც კარგ პროექტს შეადგენს ტფილისის მუხრანის ბორანისას, მსურველნი, პროექტის შედგენისა ბევრი გამოჩნდა, რომელნიც უკვე შესდგომიან პროექტის შედგენას.

*** დიდს უკმაყოფილებას იწვევს ტფილისის მცხოვრებთა შორის ის გარემოება, რომ ქალაქის ხორცის დუქნები თავისს დროზედ არ იღება და არ იკეტება. მცხოვრებთა ინტერესს, როგორც ეტყობა, ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიამ მიაქცია ყურადღება და დღეს, 4 ივნისს, კრება ექნება იმ მოხელეთა წინააღმდეგ ღონისძიებათა შესამუშავებლად, რომელთა მიზეზითაც დუქნები ან გვიან გაიღება, ან ადრე დაიხურება.

*** ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიის მეცხრე კლასი წელს 3 ქართველმა დაასრულა. აი მათი გვარები: ელენე ბაქრაძე, ოლგა იმნაძე და ოლგა ნასიბაშვილი.

*** ამ ჟამად ძალიან გაფუჭებული ყოფილა ტფილისსა, თელავსა და სიღნაღში მიმავალი გზა. გზა დიდსა და გამუდმებულს წვიმებს გაუფუჭებია.

*** ქალაქის გამგეობამ განიზრახა დააჩქაროს ტფილისის საბალნეოლოგიო სადგურის აგება. სადგურის შენობის პროექტის შედგენა საგანგებოდ არჩეულს კომისიას აქვს მინდობილი.

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ.

მეურნეობის მრავალ რიცხოვან დარგთა შორის არც-ერთი დარგი მეურნეობისა, მცირე თანხის და შრომის მიხედვით, იმდენ ნაყოფს ჩვენს ღატაკ მოქმეთა სასარგებლოდ არ იძლევა, რამდენსაც მეაბრეშუმეობა.—ფილოქსერასგან განადგურებულ ვენახის ნაცვლად ღატაკი გლეხი ვერ გააშენებს ახალ-სისტემაზედ ვენახს, ვინაიდგან ახალ-სისტემაზედ ვაზის გაშენება ითხოვს საკმაოდ დიდ თანხას. თანხა კი ჩვენს საცოდავს გლეხს ვინ მიაშვა!—დამჭნილი ვაზის ყიდვასა, მიწის 3/4 1-ს არშინზედ გადაბრუნების თავი სადა აქვს იმ გლეხს, რომელიც ჩასცივებია მიწას მამა-პაპისეული კავ-სახნისით, და თავდადებულის შრომის შემდეგ, შესაძლოა გაფიტულ ნიადაგიდან ამოიღოს 20—40 მანეთის ჭირნახული, რაც შეადგენს გლეხის ოჯახობის წლიურ საზრდოს. რისთვის არ უკუ-აგდებს გლეხი კავ-სახნისს და ახალ სისტემის გუთნით არ იწყებს შრომასაო?! იკითხავთ. პასუხად მოგახსენებთ: «ჭამა ქონებაზედ ჰკიდიაო!» დიაღ, ვიცით, რომ ახალის სისტემის გუთნით დამუშავებული მიწა უკეთესია, ვიცით, რომ სპეციალისტ მეურნეთა მიერ გამოგონილი ფარცხი უკეთ ფარცხავს მიწას, მაგრამ უსახსრობას, შეუძლებლობას ჩვენი ცოდნა, ჩვენი რწმენა გულში ჩაუკლავს, უნაყოფოდ გაუქრია. რითი იყიდონ სოფლელმა ღატაკმა გლეხებმა გუთანი, რომელიც ღირს «30»—«60»-ი მანეთი და ორი უღელი ხარი, ან კამეჩი მის მოსაზიდად, რომელიც დაუჯდება 100—200 მანეთი?!—რომ ამ თვალით შევხედოთ ყველა მეურნეობის დარგსა, ნათლად დავრწმუნდებით, რომ მათი გაუმჯობესება, მათი განმტკიცება დიდ დროს, დიდ თანხას, დიდ შრომას ითხოვს, რომლის დაკმაყოფილება ჩვენს მცხოვრებთა უმეტესობას უსახსრობის გამო არ ძალუძს.

ზემოდ ვთქვი, და ეხლაც ვიმეორებ, მრავალ რიცხოვან დარგთა შორის, არის მეურნეობის ერთი დარგი—«მეაბრეშუმეობა», რომელიც მცირე შრომის, მცირე თანხის, მცირე დროის დახარჯვით აძლევს გლეხს თვალსაჩინო ნაყოფს.

ხშირად იმერელ გლეხის ოჯახობა 5—6 მანეთის ხარჯით, თვესა ან თვენახევარში, «მეაბრეშუმეობის» წყალობით, იძენს 50—100 მანეთს. მეაბრეშუმეობას დღეს ყველა ეტანება იმერეთში: ქალი, ვაცი და, წარმოიდგინეთ, მცირე წლოვანი ყმაწვილებიც-კი!—თუმცა მეაბრეშუმეობას დიდი ხანია მისდევენ იმერეთში, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, დიდი ხნის «პრაქტიკამ», მოვლამ, ჭიის მოშენებამ, მაინც ვერ ასწავლა იმერლებს, რომ სიხარბე ყოველსავე საქმეს ზიანის მეტს არას მოუტანს!—ისინი ბლომად იჭერენ მოსავლელად აბრეშუმის ჭიას; უვლიან, და უვლიან განსაზღვრულ დრომდე, აჭმევენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჭიები დაიზდებიან, ურიცხვი ჭია არ ეტევა სადგურში; ფოთოლი არ აბადიათ, მაშინ ძალა-უნებურად გამოიტანენ და გადაჰყრიან ხოლმე წვით და დაგვით გაზდილ ჭიას. რაც დარჩება, ისინიც, უჭამობით დახუთულნი, ძალიან მცირე მოსავალს იძლევიან.—საჭიროა ყველა «მეაბრეშუმემ» მხოლოდ იმდენი აბრეშუმის თესლი შეიძინოს, რამდენის მოვლისათვის ძალა შესწევს. *)—ხშირად მეაბრეშუმე ყიდულობს თესლს არა საიმედო კაცისაგან (ჩარჩისაგან); თესლი ხან სრულიად არ გამოდის, ხან გამოდის და რამდენისამე კანის გამოცვლის შემდეგ სრულიად ჰქრება აბრეშუმის ჭია.—ამის ასაცდენათ საჭიროა «მეაბრეშუმემ», თუნდ მეტიც გადიხადოს, ოღონდ-კი შეიძინოს თესლი საიმედო დაწესებულებისაგან, როგორიც არის, მაგალითად, „ქუთაისის გუბერნის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობა,“ რომლის კანტორა მოქმედებს ს. კუხში.

«მეაბრეშუმემ,» თუ მოვლა არ იცის რიგიანად აბრეშუმის ჭიისა, შეუძლიან მიმართოს ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის გამგეობას, რომელიც მიაწვდის მოკლე დარიგებას აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენებაზედ.

აუცილებლად საჭიროა, მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ჩარჩებს, რომლებიც დათარეშობენ სოფლად და უვარგის თესლს ასაღებენ სოფლელთა შორის. საჭიროა იმათი ალაგმვა როგორმე.

იმედია, მებრეშუმენი მოსპობენ ჩარჩების თარეშობას და თესლის შეძენის ჟამს მეტ დაკვირვებას გამოიჩენენ, რამოდენისამე ასის მანეთის შეძენის მომლოდინენი უგრომოდ და დაზარალებული არ დარჩებიან! იმედია, ამხანაგობაც არ უღალატებს თავის პირვანდელს დევიზს—«ჩაგრულთა ინტერესების დაცვას», და ღირსეულად დაიცავს ამ დევიზს ღატაკ მოქმეთა სასარგებლოდ,

ილია ბახტაძე.

*) ღატაკი ოჯახი ვერასოდეს ვერ მოუვლის კარგად 5-6 მისხალ აბრეშუმს თესლის მეტს.

ი. ბ.

## ჩვენებური ამბები

**ს. გოჩა-ჯიხაიში** (ქუთაისის მაზრა).

არა ყველასათვის სასიხარულოდ გათენდა ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომა. ხალხს რაღაც პირი არ ულიმდებოდა; მომეტებულად სევდიანი დაღვრემილობა ეტყობოდა. «სხომინდულად» არც მღეროდნენ, არც თამაშობდნენ. არ ვიცი კი, რას მოასწავებდა ეს არა ჩვეულებრივი ხალხის დაფიქრებული სევდით მოცული ყოფა და ქცევა.

იმერეთში ჩვეულებაა, აღდგომის უქმეში მოგროვდება ხალხი დ დროს ატარებს ცეკვა-თამაშით. ბურთით და სხვა, წელს იმის მეათედიც არ მოგროვილიყო, რაც წარსულ წლებში; იმათაც არავითარი სიმხიარულე არ ეტყობოდათ. პირ იქით, აი რა მოხდა: ხალხს იარაღის ტარება აღუკრძალეს. ბევრი ამბობდა: «როდესაც კაცს იარაღი ზედ ერტყა, მაშინ ჩხუბს ვერიდებოდით, რადგანაც იარაღს ვხედავდით და გვეშინოდა, ეხლა კი უიარაღო კაცთან ან მუშტით ან კეტით ყველას გამკლავება შეგვიძლიაო». ეს სიტყვები სრულიად დამტკიცდა ფაქტით: ანდრიაძეები შეეტაკენ კიკაჩეიშვილებს. ჯერ მუშტით კრივობდნენ, ბოლოს კი ხანჯლების უარესობა გასწიეს მოკლე კომბლებმა, რომელიც ზოგი სახლიდგან გამოიძრეს, ზოგი საცეცხებიდგან და ზოგი სარტყლებიდგან; შემდეგ ლევორველებიც ამოპრიალდა. ჩხუბი კარგა-ხანი გაგრძელდა, რადგანაც ოცამდე კაცი იბრძოდა. კაკაჩეიშვილების შორის დაიჭრა: ივანეს გაუტეხეს შუბლი დ საფეთქელი, ანტონა წელში გასტეხეს, ბესოს ყურები დააწიწკნეს და კეტითაც სცემეს; ერთს არა მოჩხუბარს, გოგავას ფეხი მოსტეხეს წვივში. ანდრიაძეების შორის არვინ დაშავებულა. ამ დროს გუშინაც ჩხუბი მომხდარა ვაშაკიძეებსა და მოსეშვილებს შორის; ლადო მოსეშვილი მძიმედ არის ნაცემი, ოთხგან თავი აქვს გატეხილი, თავის თავად ფეხზე ვერ ამდგარა. ამ ჩხუბში გამშველებლად ჩარევია ა. ფარცვანია; ვაშაკიძეები იმას მისევიან ქვებით და კეტებით. ფარცვანიას რევორველით დაუჭრია ერთი შუბლში, მეორე ყბაში, ერთისთვინაც ბარძაყში მოუხვედრებია ტყვია. უწესოების ჩამდენნი დაპატიმრებულნი არიან.

გოჩა-ჯიხაიში გახშირდა ჴლექით სიკვდილი; ბევრი ეხლაც ავადაა ჴლექით და ანთებითაც. ექიმებს იწვევენ ხონიდგან და დიდი ჯიხაიშიდგან. ერთს ხონელ ექიმთაგანს დიდი სასყიდელი მიაქვს ჩხუბით და აყალ-მაყალით ღარიბ ხალხისაგან. თითქო ფული თავის სიცოცხლეში არ ენახოს, ისე ხარბად იქცევა. ნეტავ ავადმყოფების მორჩენაზე იყვეს ეს დალოცვილის შვილი ისე მოწადინებული და მჴურვალე, როგორც თავისს „ვიზიტებში“ უღირალ ფასის აღებაზედ არის.

დრო.

## მცირე შენიშვნა.

(წერილი რედაქციის მიმართ)

«ცნობის ფურცლის» სურათებიან დამატების მე-224 №-ში მოთავსებულია «გველი და კაცი», ოსმალური ანდაზა. ეს აზრიანი იგავ-არაკი რამდენი ხანია შესძლვნა ქართულ ლიტერატურას საბა-სულხან ორბელიანმა (იხ. მისი იგავ-არაკნი) და ახლა ხელ-მეორედ გვაწვდიან, როგორც ახალს რასმე! საოცარია ჩვენებური განუვითარებლობა, სამშობლო ლიტერატურის გაუცნობლობა. ახალს მთარგმნელს, შეიძლება, მიეტევება ასეთი შეცდომა, მაგრამ როგორ მიეტევება მთელს რედაქციას?აქ არ შევუდგებით იმის გამოკვლევას, თუ სადაურია ეს ლეგენდა, ოსმალური, ჩვენებური, თუ საზოგადოდ აზიური. ვამბობთ მხოლოდ, რომ იგი უკვე არსებობს ქართულს ლიტერატურაში და ხელახლა მისი თარგმნა უცხო ენიდან მეტია. ნუ თუ სხვა არაფერი დარჩა ქართულად უთარგმნელი? ჯერ შეისწავლეთ, დალოცვილებო, სამშობლო ლიტერატურა და მერე გაამდიდრეთ უცხოთა თარგმანებით!

X.

## შემოწირულებანი

«ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგად.» სასარგებლოდ შემოვიდა.

კნ. ანნა ივანეს ასულის ბარათაშვილისაგან—15 მან.; მელანია გველესიანისაგან—ღიენის მაუდის ბალიში პირი, მისგანვე შეგროვილი:თ. გველესიანისგან—მარაო, ი. ბაქრაძისაგან—ფრაქეს საშაქრე, ნ. ნ. ჯომარჯიძისაგან—ექვსი ტილოს ხილის სალფეტკი, ფერადი აბრეშუმის ნაქარგი, პ. დგებუაძისაგან—მაგიდაზედ დასადგმელი სურათის ჩარჩო, ა. გამრეკელისაგან—ტუალეტზედ დასადგმელი ნივთი, ელ. მეძმარიაშვილისაგან—აბრეშუმის ცხვისახოცი, ი. ველხისაგან—ფრაქეს საშაქრე.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ივნისს.

**ჩელიაბინსკი.** ეკატერინბურგის წითელის ჯვრის განყოფილება წავიდა, განყოფილებაშია ორი ექიმი, ხუთი დანი სათნოებისა და გამგებელი ტელეგინი.

**მინსკი.** დიდი უმუშაობაა, ამის გამო საბჭომ დაადგინა მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს საზოგადო სამუშაოთა საქმე მოაწყოს და შეთანხმდეს ერობასთან, რომ განახორციელოს მისავალ-მოსავლის გზების გაკეთება, რომელიც განზრახული იყო.

**ჩიფუ.** («რეიტერის სააგ.»). კაპიტანმა იმ გემისამ, რომელიც ორშაბათს პეჩილიის ყურეში მოდიოდა, აუწყა. რომ ორშაბათს ღამე დაინახა დიდი ფლოტის პროჟექტორი და მოესმა 28 მილზე სამხრეთ-დასავლეთად პორტ-არტურიდან სროლის ხმა.—ჩინელებმა სასტიკი მეთვალყურობა დაიწყეს როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე იმ აზრით, რომ კონტრა-

---

მოეთხოვება საზოგადოდ?.. ვაჭრებზე რომ შევეკითხეთ, ეგ საზოგადო კანონია... კომერციააო! მღვდლებზე—კლერიკალიზმიო!.. და სხვანი. საკვირველია, ერს, ბერს, დიდს, პატარას, განათლებულს, გაუნათლებელს, ვაჭარს და მებატონეს, ყველას მწყობრად მოაქვს ქართველებზე იერიში და გაკერპებული მათი მოსარჩლე კი პირიქეთ ჩვენვე გვესაყვედურება: ისინი რომ ამბობენ, თქვენ რატომ არ კისრულობთ მათ ცილის წამებას და თავს მართლულობთ? ეგ ხომ სომხის ჭამიაობა არისო? ამაზე მეტი უსამართლობა განა კიდევ იქნება სადმე?..

3) გვიმტკიცებს, რომ ქართველებს არასოდეს თავისი საკუთარი არა ჰქონიათრაო: არც ისტორია, არც მწერლობა და არც ანბანიო. ყველა სომხებმა უწყალობეს და მიტომაც ქართველებზე ძლიერი გავლენა ჰქონდათო.—ამის საბუთებიც მოვთხოვეთ და იმან მხოლოდ ტერტერების ნაზღაპრებით გვიპასუხა და არა თუ ჩვენ ყოველგვარი საბუთი: ისტორიული, არხეოლოგიური თუ ნუმიზმატიური, უცხოელების სიმართლეც კი უარ ჰყო ჩვენ შესახებ, სადაც კი რამ იყო სასარგებლო! იმის დასამტკიცებლად რომ სომხურ ენას კი არა ჰქონია გავლენა ქართულ ენაზე, პირიქით ქართულსა ჰქონია სომხურზე, ჩვენ ვიმოწმეთ ცნობილი ორიენტალისტი გატტერიასი, რომელიც ამბობს:

«ქართულის შესწავლით მე ვსცან დიდი მნიშვნელობა ამ ენისა სომხური ენის გამოსაკვლევად და ვიდრე სომხურ ენას გრამატიკას გამოვსცემდი, შევუდექი, თვით ედ. დელორიეს რჩევით, ქართულის შესწავლას იმ განზრახვით, რომ გამომეკვლია: რა ეკუთვნის სომხურში ქართულ ენას? უამისოთ სომხური გრამატიკა მოკლებული იქნება მეცნიერულ საძირკველსა და მეთოდსაო.—ამ უტყუარმა საბუთმა ასე გააცხარა ბ-ნი მარრი, რომ ჩვენთან ერთად კიჟინა დასცა გატტერიასსაც: «ქართულის შესწავლამ ბევრი ვერაფერა შემატა-რა გატტერიასს და არ ვიცით, რათა ჰგონია, რომ ქართული საჭირო იყოს სომხურის შესასწავლადო?!.. ეს საიდუმლო მან საფლავში თან ჩაიტანაო» და სხვანი.

შემდეგ კი იქვე გამოტყდება და თვითონვე ამბობს: „მე თვითონ უგატტერიასოთაც, ჩემდა თავად, მივედ იმ გამოკვლევამდე, რომ ქართულის ენის გავლენა სომხურზე ეჭვს გარეშეაო». ბიჭოს! მაშ, რაღათ ამტკიცებდა სრულიად წინააღმდეგს, თუ კი იცოდა! ალბად მოტყუება მონდომებია! განზრახ გვეწინააღმდეგება ჩვენც და გატტერიასაც განგებ უკიჟინებდა და რომ ველარ მოახერხა-რა, გამოტდა: მეც ვიცოდიო!...

4) «ცამეტი წელიწადია, რაც მე სომხურს ვკითხულობ, ათიც შესრულდა, რაც მეცნიერულად ვიკვლევ და ჯერ არსად შევხვედრივარ, რომ სომხების მწერლებს უარ ეყოთ და სიმართლით არ მოეხსენებიათ ქართველებიო». ბრძანებს პროფესორი და ბოლოს კი მაინც ამითი ათავებს:“ მართალია, ხან-და-ხან სომხის მწერლები ისე არა სწერენ, როგორც ქართველებიო: საღებავს ასქელებენ და ფერსაც უცვლიან, მაგრამ იმათ მეტი არ მოეთხოვებათ და ეს კრიტიკამ უნდა გაარჩიოსო“. ეს როგორღა მოგწონსთ? თურმე სომხის მწერლები ქართველებზე როცა სწერენ, საღებავსაც ასქელებენ მათდა სავნებლად და ფერსაც უცვლიან, მაგრამ ეს არაფერია... კრიტიკამ უნდა გაარჩიოსო!.. და ჩვენც მეტი მაშ რაღა დავაშავეთ! ჩვენც ამას არ ვამბობთ?

5) «უგვლად შეუძლებელია, რომ ძველ ნანგრევებზე სომხები ქართულ ზედ-წარწერას ფხეკდნენ და სამაგიეროდ სომხურს სწერდნენო. იმათ ეს ჩვეულებად არა აქვთო: მე თვითონ ჩემის თვალით ვნახე, რომ ალექსანდრეპოლის მხრის ერთს სომეხს ეპოვნა ქვის ჯვარი ქართული ზედ-წარწერით და გასაყიდათ შეენახაო. მერე და რა არის აქ გასაკვირველი? ის, რომ სომეხმა არ დაამტვრია ის ქვის ჯვარი და მოინდომა ჭისი ფულად ქცევა? გასაკვირველი ის იქმნებოდა, რომ ის ნაპოვნი ჯვარი ჩვენთვის მუზეუმში გამოეგზავნა და არ მოენდომებია მისი გაყიდვა,მაგრამ, ვსთქვათ, რომ ერთმა ვილაცა სომეხმა, სადღაც არ დაამტვრია ქვის ჯვარი ქართულ ზედ წარწერით. დ ვსთქვათ, კიდეც მოგვაწოდა ქართველებს მეგობრულად. მაინც ეს ერთი ფაქტი რას დაამტკიცებდა, რომ სხვა ათასი გვიჭირავს ხელში. და როცა ესეები ვუჩვენეთ ბატონ მოსარჩლეს და სათვალ-და-თვალო ფაქტებს ველარსად წაუვიდა, მეტი გზა აღარ ჰქონდა, გამოტყდა, მაგრამ მაინც კიდევ გვარწმუნებენ: მაგას უმეცარი მწერლები ჩადიანო!.. აბა სამეცნიერო ლოღიკაც თუ გნებავსთ, ეს არის!... ბატ. მარრის სიტყვიდანა სჩანს, რომ სომხის მწყემსები არხეოლოგ-ისტორიკოსნი ყოფილან და თანაც მასთან მოხერხებული ვინმეები, რომ თავისს ნახირს ჩვენ სამრეკლოებსა და ტაძრებ-ციხეების ნანგრევებზე აბალახებენ: შორს თურმე აღარ მიჰყავთ! ეჰ, რომელი ერთი ვსთქვათ? სულ ამგვარია ბატ. მარრის მსჯელობა სომხებისა და ქართველების შესახებ. კითხულობ და თავს ეკითხები: ეს კაცი ხომ არ ოხუნჯობს? ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ერთი მის პასუხში ახირებული რამ გამოიტქვა: ბატონი მარრი შეუპოვრად გაიძახოდა, რომ სომხებს მის დღეში არა შეუთვისებიათ რა ქართველებისა და არც აქვსთ მაგისთანა ხასიათიო! დღეს რასაც ეწამებით, სულ ტყუილიაო. ამის საპასუხოდ მოვაგონეთ შემდეგი: „მიუხედავად ქართველ-ბერძნულ წყაროებისა, მათმა ისტორიამ მეფის წართმევაც კი მოგვინდომა და დიდი დავით კურაპალატი თავისს საკუთარ მეფედ აღიარა, რასაკვირველია, იმ განზრახვით, რომ ქვეყანა დაერწმუნებია: თუ მეფე ჩვენი იყო, მაშასადამე მისი სამფლობელოც—ტაოს კარი, ანუ ახლანდელი ჭოროხის ხეობაც, სასომხეთო იქნებოდაო“. ამის პასუხი რომ მოვსთხოვეთ და ბატონ ვექალსაც სათქმელი აღარა ჰქონდა რა, მედიდურობა მოიგონა და აი რა გვიპასუხა: „აკაკს უნდა, რომ ისტორიულ ფაქტების შესახებ ჩვენ იმასთან ვკამათობთ; მაგრამ მისთვის ისიც დიდი პატივია, რომ მე, მარრი, იმასთან საუბარს ვკადრულობო! ესეც რომ სთქვა, მაშინ კი მეც მივხვდი, თუ ვისთან მქონდა საქმე. ვიფიქრე: ალბათ გუნებაზე ვერ ყოფილა მეთქი!—და მართლაც ვარდამეტებულის შრომით მეცნიერს შეუძლია, ასე დაღალოს და დაასუსტოს ტვინი, რომ სულ არაფერზე ჩამოიყვანოს! ხან-და-ხან მზეც კი დაბნელდება ხოლმე და კაცმა რომ მოიბინდოს, რა გასაკვირველია?!. ჩვენ ბატონს მარზედ გული არ გაგვტეხია და დარწმუნებულიც ვიყავით, რომ ერთხელ ოდესმე თვითონვე გაასწორებდა შეცდომასა!.. მაგრამ გაგვიცუდდა იმედი. გაიარა წელიწადმა, სომხების მწერალ პატრიოტმა და რუსის პუბლიცისტმა ჯანშიევმა «დამშეულ და თათრებისაგან აკლებულ ძმათა დასახმარებლად“ რუსული კრებული გამოსცა, მიზანი იმ გამოცემის მარტო მატერიალური არ იყო!.. ეს კრებული ამავე დროს სარეკლამო განცხადებაბიც იყო სომხების ასამაღლებელი და თანაც ქართველების დამამცირებელ-დასამდაბლებელი. იმ კრებულში ექვსი სხვა-და სხვა სტატია იყო მოთავსებული საკუთრად ქართველებზე, საუკადრისო ცილის წამებით სავსე და მათ შორის თვით გამომცემელის, ჯანშიევის სტატიაც ამ სათაურით:

«ქართველების პოეტის აკაკის წესის აგება პროფესორ მარრისაგან.» გადმოუბეჭდია მარრის საპოლემიკო სტატია, შიგა და შიგ თავისიც ჩაურთავს, გადაუკეთებია სომხურ გემოზე, ჩვენი პასუხი გადაუფუჩეჩებია, არც კი მოუხსენებია და ისე გადაუცია მკითხველებისთვის!.. თითქოს მართლა და ის რასაც მარრი ამბობდა, დამტკიცებაც იყოს და უეჭველ ფაქტად მიეღოს ყველას და მათ რიცხვში თვით აკაკისაც, და დაჩუმებულიყოს.

ამ ლიტერატურულ თაღლითობას, რასაკვირველია, ჩვენ ვერ შევარჩენდით და კიდევაც მოვამზადეთ ცალკე წიგნაკად პასუხი, რომ არ მომკვდარიყო იმ ხანებში ჯანშიევი, მაგრამ რაღაი კი მოკვდა, აღარც ჩვენ დავაბეჭდინეთ, რომ, მიზეზმიზეზია ჩვენ კოსმოპოლიტებს არ ეთქვათ, მკვდარს შეუტიაო და სხვანი.

ის სტატია, რასაკვირველია, მარრის თანხმობით უნდა ყოფილიყოს დაბეჭდილი სომხების კრებულში. მაგრამ ჩვენ მაშინაც არ გაგვტეხია გული ახალ-გაზდა მშრომელ-მოღვაწეზედ და აღარა გვითქვამს-რა, თუმცა სათქმელი კი გვქონდა. დღესაც კიდევ დარწმუნებული ვართ, რომ პროფესორი მარრი აზრს გამოიცვლის და არას ვამბობთ... მაგრამ ის კი არ მოგვწონს, რომ მარრის მაგალითმა შკოლა გამოიწვია ჩვენში «ქართველთა მოძულეთა» რომელთა შორის თავი იჩინა ახალგაზდა ჯავახიშვილმა. და ამის წაყრუება არ ივარგებს არც ჩვენთვის და არც თვით იმ ახალგაზდა სამეცნიერო გზისკენ მიმავალ კაცისათვის.

აკაკი.

ბანდა არ უზიდონ მებრძოლთა, რადგანაც საჩივრები შედის, იაპონელებს ჩიფუდან სურსათს უზიდავენო.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგ.»). პორტ-არტურის ნავსადგურში შესავალი თავისუფალია. გუშინ გამოვიდა კრეისერი «ნოვიკი» და იერიში მიიტანა მტრის გემზე, რომელიც პორტ-არტურს არტყიან.—კერძო ხმების მიხედვით, რომელიც მიუღიათ კუნძულ იკისიმაზე მდებარე ქალაქ კაცამატოდან, რუსეთის და იაპონიის გემებს შორის ბძოლა არისო.

**ბლაგოვეშჩენსკი.** ოლქის სამხედრო გუბერნატორმა 1 ივნისიდან ახალი ნოხრი დააწესა ყველა უსაჭიროეს საგანთათვის.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგ».). როგორც საღამოს გაზეთები იტყობინებიან, როცა კრეისერი «ნოვიკი» პორტ არტურის ნავსადგურიდან გამოვიდა, თან მიზდევდა ათი ნაღმის მმუსვრელი. იაპონიის გემები ცდილობდენ გაშლილ ზღვაში გაეტყუებინათ რუსის გემები, მაგრამ შუადღის უკან ისევ ნავსადგურში დაბრუნდენ.

**ნიუ-ჩუანი.** («რეიტერის სააგ.»). მუკდენში 25 ათასი რუსის ჯარია, ხოლო ლიაოიანში ორმოცი ათასი. რუსები სთხრიან ციხის ღრმა სანგრებსა ლიაოიანის ყოველ მხრივ, ასე ქალაქიდან სამი მილის გაყოლებაზე და სიმაღლეებზე არტილერიას აყენებენ.—როგორც ერთ ნემეც კერძო კაცისაგან მოუვიდა დეპეშა, იაპონელები პორტ-არტურთან ძალიან დამარცხებულან.

**ბერლინი.** ლიაოიანიდან 1 ივნისს დეპეშა მოვიდა, რომ პორტ-არტურთან ზღვაზე ბრძოლა იყოო. რუსის ფლოტი გაშლილ ზღვაში გასულა; ამბობენ, რუსებს დაღუპვიათ ერთი საკანონერო გემი, ხოლო იაპონელებს—ერთი კრეისერი და ოთხი ნაღმოსანი. საქმე მწვავდება..

**ტოკიო.** («რეიტ. სააგ.»). სამს იაპონიის სატრანსპორტო გემს, რომელიც სიმონოსეკიდან მოდიოდენ, 2 ივნისს დილით შეხვდნენ რუსის გემები და თვრამეტი ზარბაზანი ესროლეს. ერთმა გემმა მოასწრო გადარჩენა, ორის ამბავი კი ჯერ არ იციან.—ამბობენ, იაპონიის კრეისერმა „ნიიტაკამ“ კუნძულ ცისიმას ახლო იერიში მიიტანა ვლადივოსტოკის ესკადრაზეო, მაგრამ ამ ხმას დამტკიცება ეჭირვება. იაპონიის ორი ტრანსპორტი, რომელიც იაპონიას მიდიოდენ, კუნძულ იკიშიმასთან რუსის გემებს შეხვდნენ. ამათ ესროლეს 16 ზარბაზანის ყუმბარა. ტრანსპორტებმა თავი შეაფარეს ნავსადგურ კაცუმატოში.

**ნიუ-იორკი.** გემი «გენერალ სლოკუმს»-ს, რომლითაც ნემეცთა ლიუტერის ეკკლესიის საკვირაო სკოლის მოწაფენი მისეირნობდნენ, ცეცხლი მოეკიდა ისტრივერს, ხელგეტთან, ამ დროს ხუთას კაცამდე დაიღუპა.

3 ივნ. სი.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენ.-ად. კუროპატკინისა მისს უდიდებულესობასთან 2 ივნისის თარიღით: „პირველ ივნისს ვაფანგოუსთან ბრძოლა იყო; მტერს ჰყავდა ორ დივიზიამდე. ჩვენი ზარალი 1 ივნისს: მოკლულია 1-ლ აღმოსავლეთ-ციმბირის თქვენის უდიდებულესობის მსროლელ პოლკის უფროსი, პოლკოვნიკი ხვასტუნოვი და პოლკის ადიუტანტი, პოდპორუჩიკი დრაგოსლავ-ნადტოჩინსკი; დაჭრილია გენერალ მაიორი გერნგროსსი და უმთავრეს შტაბის კაპიტანი კრინიცკი. ამათ გარდა, მოკლული და დაჭრილია 20 აფიცერი, რომელთა გვარებიც ჯერ არ ვიცით. მოკლული და დაჭრილია 311 ჯარის-კაცი; აქედგან 1-ლ მსროლელ პოლკს დააკლდა 12 აფიცერი და 200 ჯარისკაცი დაჭრილ-დახოცილი. ღამემ 2 ივნისს მშვიდობიანად გაიარა. შუაღამის 2 საათ. ჩვენის მარჯვენა ფრთის სადარაჯოზედ გაჩნდა სროლა, მაგრამ მალევე შესწყდა. დილის ექვსის ნახევრიდან ჩვენის მარცხენა ფრთისკენ გაჩნდა სროლა; ამაზე ადრე კიდევ, ასე დილის ხუთ საათზე, 2 ივნისს, ცხენოსანმა ჯარმა ჩვენის მარჯვენა ფრთისკენ აღმოაჩინა ტაფანშინის სამხრეთად დიდძალი მტერი. იაპონიის ქვეითა ჯარმა დაუწყო სროლა ჩვენს ცხენოსნებს, რომლებსაც ეჭირათ მაღლობები ტაფანშინსა და ლუნკოოს შუა. ქალე ბიდან, ასე ორ ვერსზე იმ სიმაღლეებიდან, შვიდის ნახევარზე. დილით, მტერმა, რომელსაც ერთი პოლკი და არტილერია ჰყავდა, შემოგვიტია ტაფანშინსა და ლუნკოოს შუა; ამავე დროს ჩვენის მარცხენა ფრთისაკენ გამწვავდა სროლა. შვიდის ნახევარზე დილით გენერალმა შტაკელბერგმა შეუტია მტერს და უნდოდა შემოეარნა მტრის მარჯვენა ფრთისათვის ფაფანცოპენისა და გაუინისკენ. ასე დილის ათს საათზე ჩვენის მარჯვენა ფრთის წინაამდეგ მტერმა წამოაყენა ერთ ბრიგადამდე ჯარი ბატარეიით და ცხენოსნებით, უკან დაახევინა ჩვენს ცხენოსანს რაზმს და გასწია ლუოკოოზედ ჩვენის მარჯვენა ფრთის შემოსავლელად. მტრის ძალის შესაყენებლად თერთმეტის ნახევარ საათზედ გენერალმა შტაკელბერგმა სისანადგან გაჰგზავნა თავისი რეზერვი. როგორც შევიტყვეთ, 2 ივნისს დილით მტერმა დიდი ჯარი მოიშველია. მთელი ძალა იაპონელთა უდრიდა სამს დივიზიას. როცა ამ დეპეშასა ვგზავნი, სხვა ამბავი არარა მოსულა-რა“.

დროებით რედაქტორი **ბრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

28 მაისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები | 94,55 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,55 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7 1/2% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91 3/8 ჩის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 370 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 290 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 266 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4 1/2% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

# განცხადებანი



ამერიკის
**ავტომობილები**
**ბენზინით მოძრავი**
**ველოსიპედები**
ბენზინის მატორებით.

**Акц. О-во „ЭНФИЛЬДЪ“**
**МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.**

СПБ. Морская, № 30.

(10—6—10).

ქუთაისში
**ს. ბ. თოფურიას**
**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ უმაღლეს მთავრობის ნება-რთვით ამიერიდგან მიიღება ხელის მოწერა შემოწირულებათა შესაკრებად აწ განსვენებულის დიდი მთავრინასი ოლღა თეოდორეს ასულის ძეგლის ასაგებად ტფილისში.

(3 6.—3)



**მოითხოვეთ უვნებელი წამალი**
**„ოდონტინი“ მ. კ. ლუპენდევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

გამოვიდა და იყიდება ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა,
ფასი 70 კაპ.

(2—141—2).



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

ქვასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**
**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**
**Б. М. МИРИМАНЯНЪ**
Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—25)




ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის

# „ნადეჟდა“-ს

ფილისის სააგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ სააგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამომდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის

**11 აპრილიდან გადატანილ იქნება**

მანთაშოვის ახალ ქარვასლაში, სომხის ბაზარში.
შესასვლელი ექზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ.
საქონლის მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

საწყობის ტელეფონი № 370. სააგენტოს ტელეფონი № 108. (5—6.—5)

**ჭრელა საჭირო ოქრო და ბრილიანტი**

**როცა შეიძლება შეძენა ჩვენის სავაჭრო სახლისაგან**
მხოლოდ 5 მან. 50 კაპ. გამოგზავნით

გარნიტურისა, რომელშიაც იქნება 4 ლამაზი ნივთი: 1) ბრასლეტი, 2) ბროშკა, 3) წყვილი მოზრდილი საყურე, 4) ბეჭედი ყველა წმინდა ვერცხლისა, 84 დამღისა, კარგად ცურვილი, ბრძმედ გამოვლილი ოქროში ელექტრონის წესით და მოოჭვილი გარშემო პარიჟის ბრილიანტებით, რომელიც (შუა-გულ ქვას) ზურმუხტს, საფირონს, ამეთვისტოს (ვისაც რომელი სურს) შემორტყმული აქვს გარს; ნივთები ხელოვანებით არის გაკეთებული და ბაჯაღლო ოქროში ვერ გამოარჩევთ. ბრილიანტებსაც ისეთი წყალი და ჯავარი აქვს, რომ არ ჩამოუვარდება 200 მანეთად ღირებულ ძვირფას ბრილიანტებს. ყველა ეს ნივთები თამამად გასწევს ოქროს ნივთებისა და ბრილიანტების მაგიერობას.

ნივთები გაგზავნით ღირება მხოლოდ 5 მან. 50 კაპ,

# იაფი გარნიტური

**მხოლოდ 4 მან. 45 კაპ. გაგზავნით**

ვგზავნით 5 შემდეგს ნივთს: 1) კაცის საათს, საუკეთესოდ მოოქროვილს. ძნელი გასარჩევია ოქროში, ან შავის გამოწრთობილის ფოლადისას, კაცისა ან ქალისა მაგარის ხაზინით და 6 წლის ბუღდავანობით; 2) ახალ ოქროს ძეწკვს პრტყელს (პანცირისას) ან ქალისას, ყელზედ საკიდს; 3) ბრელოკს, კომპასს ან ბინოკლს ან ვენზელს, 4) საწერ იარაღს-რომელშიაც არის ლითონის ტარი, კალამი, ყარანდაში, შტემპელი სახელისა, მამის სახელისა და გვარისათვის; ზედ ამოიჭრება ორი ასო ბეჭედისათვის, 5) მეშის კოხტა ქისას სხვადასხვა გვარ ფულისათვის ან ტყავის, პორტმონეს ქალისათვის; ასახდელი საათიცაა; სახურავიანი ვისაც უნდა, დაუმატებს 1 მან. 50 კ.

**ვინც ორივე გარნიტურს დაიბარებს, უნდა გამოჰგზავნოს მხოლოდ 8 მან. 90 კაპ.**

მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შესრულდება და ნივთები გაეგზავნება ადრესატებს უბეოდ, ფას-დადებით. ადრესი:

*Торгово-транспортному дому Т-во „Парижскій Лувръ“. Варшава 32/323*

აზიის რუსეთში და ციმბირში გაგზავნისათვის საჭიროა ბეს გამოგზავნა (შეიძლება მარკებით და ფასის მიემატება წონისამებრ. (3—6—3)

ს.-პეტერბურგის კომპანია

# „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთი, გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| **მარითადა თანხა** | **1.650.000 მან.** |
| **სათადარიგო თანხა** | **2.664.808 მან.** |

**დაზღვევის ოპერაციები.**

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟების ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში. მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, კანოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—38)

სააფთიაქო საქონლის მოვაჭრე

# ფარმაცევტთა ამხანაგობა

**ტფილისში**
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).
**ტელეფონი № 741.**

აწარმოებს ვაჭრობას, ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი და წამლები (პატენტ მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთეულება, საქენზ ფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქი და ლაბორატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა და სხვა წყალი და მარილი, მრავალგვარი და მრავალ-ფერიანი საპირფარეშო სამკაული თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვ.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.



Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи